პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 სექტემბერი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 214 (15731)

სარისხი წარმოების მუშაობის საქმეა

ნარმოების მუშაობის ხარკეს უწოდებენ სამეურნეო მუშაკები და ეკონომისტები პროდუქციის ხარისხს. ამ მაჩვენებელში თავმოყრილია კოლექტივის შრომის შედეგები. საწარმოს მარკას აფასებენ უპირველეს ყოვლისა იმით, თუ რამდენად შეესაბამებიან გამოშვებული ჩარხები, მანქანები და ხელსაწყოები თანამედროვე ტექნიკურ დონეს, რამდენ ხანს იმუშავებენ ისინი, რამდენად დიდია მათი წარმადობა, ეკონომიურობა. კარგი ხარისხის, მოხერხებული, ლამაზი უნდა იყოს სახალხო მოხმარების ყველა საქონელი.

სკკპ XXIV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლება წარმოების ეფექტიანობის შემდგომი აუცილებელი პირობაა. პარტიის ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები. მათ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით „მეცხრე სუფლადი მაღალი ხარისხის ბუფლადი უნდა იყოს“. ხარისხისათვის ნაყოფიერი ბრძოლის 2,5 წელიწადი გავიდა. განვლილ პერიოდში მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მკვეთრად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, განმტკიცდა მათი ხელმეიდროობა, ახლა ჩვენს ქვეყანაში ხარისხის ნიშნით გამოდის რამდენიმე ათეული ათასი დასახელების ნაწარმი. იგი მოსწონს მოხმარებელს და სიამოვნებით ყიდულობს.

რა გააკეთეს ხუთწლედის განვლილ პერიოდში საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის?

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამჟამად რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს 4 ათასზე მეტი დასახელების 2500-ზე მეტი სახეობის ნაწარმს. 64 დასახელების პროდუქციას მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სამრეწველო საწარმოები უფრო მეტად რომ ზრუნავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მიმდინარე **წლის პირველ ნახევარში** გეგმის **გადამეტებით რეალიზებულია 86,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. იმ დროს, როცა სოციალისტური ვალდებულებით •მთელი წლის განმავლობაში დამატებით უნდა მოეხდინათ 63,7 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.**

მაგრამ ეს წარმატება ერთი წუთითაც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. რესპუბლიკის უმრავლეს საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებების მოთხოვნებს. ამ ბოლო წლების შინძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებულმა შეცდომებმა, მოთხოვნილებისა და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტებამ სერიოზული ზიანი მიაყენა ეკონომიას, უარყოფითი გავლენა მოახდინა სამრეწველო პროდუქციის ხარისხზე. პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა ტექნიკური დონითა და გაფორმებით არ შეესაბამება მოქმედი სტანდარტებს მოთხოვნებს და ტექნიკურ პირობებს. შარშან მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაიყვანეს, ან შესასწორებლად უკან დაუბრუნეს შემოწმებული ნაწარმის 19,5 პროცენტი. ამ მიზეზებით ზარალის საერთო თანხამ 80 მილიონი მანეთი შეადგინა.

მოსალოდნელი იყო რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ამ საგანგაშო მდგომარეობიდან სათანადო დასკვნებს გაიკეთებდნენ და ძირითადად გარკვქმნიდნენ მდგომარეობას. მაგრამ ეს ასე ვერ მოხდა პირიქით. მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში იმ საქონლის რაოდენობა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებსა და ტექნიკურ პირობებს, გაიზარდა და შეადგინა 26,3 პროცენტი. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის ფაბრიკებსა და საავტომობილო ორგანიზაციებში დაგროვდა ძნელად სარეალიზაციო საქონლის დიდი ნაშთები. ამ მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობა გვაქვს სამკერვალო საწარმოებში. **შარშანდელ აღწერით 18,7 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმი. აქედან 13 მილიონი მანეთის საქონელი მოდის ცეკავშირის სისტემის საწარმოებზე.**

პროდუქციის ხარისხი ვერ გაუმჯობესეს და წუნით გამოწვეული ზარალი ფინანსურ სიძნელეებს უქმნის ისეთ დიდ საწარმოებს, როგორიც არის თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“, პირველი მაისის სახელობის ფაბრიკა და ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება.

სისტემატურად იზრდება ტრიკოტაჟის ნაწარმის ნაშთები საწყობებში. ამაში ძირითადად სცოდავენ ცეკავშირის სისტემის საწარმოები. მთელი ნაშთის 12,2 მილიონი მანეთი ამ სისტემაზე მოდის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნედლეულს აფუჭებენ. ტყუილად იკარგება შრომა, ცდებიან ადამიანები.

არის მეორე უკიდურესობა. საწარმომ იცის, რომ მისი ზოგიერთი პროდუქცია არ სჯდება, მოიმხარებელი ახლოს არ უკარება, მაგრამ ასეთი ნაწარმის გამოშვებას მაინც განაგრძობს. მაგალითად, თბილისის მაუდკამეოლის კომბინატში ქალის შავი ფერის საპალტოე დრაფი მილიონობით მანეთისა, უწყვეთ საწყობში, მაგრამ მას მაინც კვლავ უშვებენ. ასეთი მუშაობით წარმოების ეკონომიკას წინ ვერ წავწევთ. საჭიროა უფრო გონივრულად ვიფიქროთ ასორტიმენტის განახლებაზე, ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია კვების მრეწველობისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროთა საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქართული ჩაის დაბალი ხარისხი. შარშან შემოწმებული ჩაის 15 პროცენტი არ შეესაბამებოდა მიკუთვნებულ ხარისხს. ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი განაბორცელა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წელს ჩაის ხარისხი გაცილებით უკეთესი იქნება.

რა არის ამის მიზეზი, რომ რესპუბლიკის საწარმოები ჯერ კიდევ დაბალი ხარისხის ნაწარმს უშვებენ?

ჯერ კიდევ დაბალია მომთხოვნელობა, შრომის დისციპლინა, ხარისხი რომ გავაუმჯობესოთ, რა თქმა უნდა, მთელი ორგანიზაციული მუშაობა მეტადრო უნდა იყოს დაკავშირებული მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ განვითარებასთან. საუკეთესო ნაწარმის გამოშვება მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც კარგად ფლობს შრომის თანამედროვე მეთოდებს. ახლა ჩვენი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს კადრების მომზადება, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება წარმოების ყველა უბანზე, მოწინავე გამოცდილების პრომაგანდა. დაზუსტებას მოითხოვს პროდუქციის მაღალი ხარისხის ეკონომიური სტიმულირების სისტემები. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა კოლექტივმა მიაღწია წარმოებისათვის უმაღლესი კატეგორიის მონიჭებას, ამას კი გავლენა არ მოუხდენია მისი წახალისების ფორმებზე. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ხშირად უნდა მოაწყონ პროდუქციის დონის დათვალიერებანი, ოსტატობის კონკურსები. ამასთანავე ყველა კოლექტივში უნდა შეიქმნას მაღალი პასუხისმგებლობისა და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის ვითარება, შეურიგებლობა წუნის მკეთებლებისადმი, რომლებიც არ უფრთხილდებიან საწარმოს მარკის ღირსებას.

ხარისხის ნიშანი შრომითი მამაცობის, ჩინებული ცოდნის, წარმოების თანამედროვე ორგანიზაციის ნიშანია. დაე ყოველდღიურად მრავლდებოდეს პროდუქციის საუკეთესო ნიშნისათვის სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რიგები.

მაღალი ჯილდოები გადაეცათ

მეცხოველეთა შეჯიბრება. გრძელდება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამოქვეყნებულ დადგენილებაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1972 წლის მეოთხე კვარტალისა და 1973 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებთან ერთად გამარჯვებულად ცხინვალი, დუშეთი, ლაგოდეხი, წითელწყაროსა და ცხაკაიას რაიონები. შეჯიბრების გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით და ფულადი პრემიებით.

□ □ □

ცხინვალი. 11 სექტემბერს აქ გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა კრება, რომელიც მიეძღვნა რაიონისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშის გადაცემას. გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეიკრიბნენ მეცხოველეობის ფერმების მუშაკები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობათა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა გადასცა რაიონის ხელმძღვანელებს და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჯგუფს.

შთამბეჭდავია რაიონის მაჩვენებლები მეცხოველეობის განვითარებაში, რომლებზეც თავის გამოსვლაში ილაპარაკა ამხ. პატიაშვილმა. 1972 წლის მეოთხე კვარტალში და 1973 წლის პირველ ნახევარში რაიონში წარმოებულია 13765 ცენტნერი ხორცი, 5280 ცენტნერით მეტი, ვიდრე შესაბამის წინა პერიოდში, რძე — 5760 ტონა, 712 ტონით მეტი, კვერცხი — 16923 ათასი ცალი, ეს კი ვალდებულებაზე მეტია. მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის სულადობა. შესრულებულია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. სასახსოვროა აღინიშნოს, რომ მეცხოველეები იპყრობენ ახალ მაღალ მიჯნებს: მათ გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დაზადების ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სამი კვარტალის გეგმა, უზრუნველყოფენ პირუტყვის საკვებით, რათა წარმატებით გამოაზამთრონ იგი.

რაიონის მშრომელები, თქვა ამხ. პატიაშვილმა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებებს. ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რაიონი შეასრულებს ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სოციალისტურ ვალდებულებებს.

ამხ. პატიაშვილმა რაიონის მშრომელთა სახელით მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ჯილდოსათვის და აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას, რომ რაიონის მშრომელები, რომლებიც ბაძავენ საუკეთესოებს და შეიარაღებული არიან მოწინავე გამოცდილებით, ახალ მიჯნებს მიაღწევენ. მან აღნიშნა, რომ მოპოვებულ წარმატებებში დადამწყვეტი როლი შეასრულა ტრადიციულმა შეჯიბრებამ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან, გამოცდილების გაზიარებამ მეცხოველეობის რუს ოსტატებისაგან. რაიონის მეურნეობებში ფართოდ არის გავრცელებული შეჯიბრებაში ჩაბმული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ურთიერთშემოწმება. დიდი ყურადღება ეთმობა შეჯიბრების საჯაროობას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, მის გავრცელებას. აქტიურად მუშაობს შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია. მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, მორალური და მატერიალური სტიმულირება ხელს უწყობენ მინდვრების, ბაღების, ფერმების მშრომელთა შემოქმედებითს აღმავლობას. შეჯიბრების პერიოდში ხელიდან ხელში გადადიოდა რაიონის გარდამავალი წითელი დროშები. მათი მფლობელები იყვნენ ძველების საბჭოთა მეურნეობის მწველავები ს. ლაფაჩი და ნ. ცოტნაშვილი, სოფელ დიცის კოლმეურნეობის მწველავი ვ. დემეტრაშვილი, სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობის მწველავები დ. და ე. მერაბიშვილები, ბევრი სხვა.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას დიდი მადლობა გადაუხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და თავიანთ ახალ საქმეებზე ილაპარაკეს ტინისხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო სასაშენე მეურნეობის დირექტორმა **ო. ტუხაიშვილმა,** ძველების საბჭოთა მეურნეობის მწველავმა **ს. ლაფაჩმა,** გორის ბამბეულის კომბინატის მრთველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **მ. ტატარაშვილმა,** სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. გოგშელიძემ,** კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მაღალი მდივანმა **მ. რაზმაძემ,** სოფელ კარბის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ **ნ. ციმაკურიძემ,** პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. ქრისტესიაშვილმა,** მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის . ბრიგადირმა **ნ. ელეიაშვილმა,** სოფელ დიცის კოლმეურნეობის მწველავმა **ნ. ჯალაბაძემ,** სკრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ქერდეიშვილმა.**

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც მადლობას იხდიან სოფლის მშრომელთა მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

კრებას მონაწილეებმა გორის რაიონის ყველა მშრომელისადმი მიიღეს მმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ იმას, რომ ახალი წარმატებანი მოიპოვონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

წითელწყაროს. კახეთის პურის ბელელი — წითელწყაროს რაიონი განთქმულია მეცხოველეობითაც. ყოველწლიურად მრავლდება პირუტყვის სულადობა, უმჯობესდება ჯიშობრივი შემადგენლობა, მტკიცდება საკვები ბაზა, მძიმე ფიზიკურ შრომას დღითი დღე ცვლიან მექანიზმები, ამაღლდა აგრეთვე ზოოვეტერინალური მომსახურება, მწყემსთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები. ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ფერმებში შრომა უფრო სახალისო და სასიბარულო გახდა მას შემდეგ, რაც გაჩაღდა მეცხოველეთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები და კომკავშირელები. შეჯიბრებაში ჩაება ყველა ბრიგადა, ფერმა, რიგითი მეცხოველე. მათ აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი, ყოველი დეკადისა და თვის ბოლოს ჯამდება შეჯიბრების შედეგები. ფერმის ყველა მუშაკმა იცის არა მარტო პირადი და კოლექტივის, არამედ მეტოქის შრომითი მაჩვენებლებიც.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მაღალმა დონემ განაპირობა რაიონის მეცხოველეთა თვალსაჩინო წარმატებანი. გასული წლის მეოთხე კვარტალსა და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თვითეული ძროხის წველადობა 405 კილოგრამით გაიზარდა. ჯალდებულებით ნაკისრი 8.373 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 10.170 ტონა რძე. გადამეტებით შესრულდა ხორცის, მატყლის, კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებები. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სოფლების გამარჯვების, ჯაფარიძის, ზემო მაჩხანის და სხვა კოლმეურნეობებმა. ბევრმა წარჩინებულმა მეცხოველემ მაღაწია რეკორდულ მაჩვენებლებს. ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავმა ზაირა ალბანიშვილმა ოცი ძროხისაგან თვითეულზე 11 თვეში 4 ათასი კილოგრამი რძე მიიღო. მიღწეული დიდი წარმატებებისათვის მას ახლახან სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

თავდადებული შრომის შედეგად რაიონის მეცხოველეებმა გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. რაიონი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით და ფულადი პრემიით. ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონული შეკრება, რომელიც 11 სექტემბერს წითელწყაროს საიაონო კულტურის სახლში გაიმართა. შეკრებას დაესწრნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები და სპეციალისტები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, სტუმრები თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან, პრესას მუშაკები.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ა. ნ. ჩიჩინაძემ.** მან გულითადად მიულოცა თვალსაჩინო წარმატებები რაიონის მშრომელებს, უსურვა ახალი მიღწევები სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში და საბატიო ჯილდო — საკავშირო დროშა გადასცა რაიონის ხელმძღვანელებსა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჯგუფს.

სიტყვებით გამოვიდნენ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი **ზ. ალბანიშვილი,** ზემო ქედის კოლმეურნეობის მეორე **ჟ. კედელაშვილი,** ზემო მაჩხანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. მამაიაშვილი.** მათ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას რაიონის მეცხოველეთა შრომის მაღალი შეფასებისათვის, შეკრებას აღუთქვეს, რომ ენერგიას არ დაიშურებენ, რათა კვლავაც ამრავლონ ქვეყნის ხვავი და დოვლათი.

ორატორებმა განაცხადეს, რომ ამჟამად მეცხოველეთა მთავარი საზრუნავია სანიმუშოდ მოემზადონ ზამთრისათვის. საამისოდ გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა. მეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 12 ათასი ტონის ნაცვლად დაამზადეს 20 ათასი ტონა სენაჟი. დიდი რაოდენობით დამზადდა ნამჯა, თივა, სილოსი, ჩალა, ვიტამინიანი ფეტვნალი, ფურაჟი და სხვ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომი ბინების შეკეთება — დათბუნება, ფერმების მომარაგება საჭირო ინვენტარით და სათბობით, მუშახელით დაკომპლექტება და ა. შ.

შეკრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ მიღწეული წარმატება ზღვარი როდია, ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. რაიონის მეცხოველეებმა მომავალში მეტი ენერგიით უნდა იშრომონ. რათა რეკორდული მაჩვენებლები, რომლებიც ცალკეულ მეურნეობებს, ფერმებს ბრიგადებს, რიგით მეცხოველეებს აქვთ, გახადონ მთელი რაიონის მეცხოველეთა კუთვნილება და სულ უფრო მეტი როდენობით აწარმოონ მეცხოველეობის პროდუქტები მშრომელთა ზზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. (საქინფორმის კორ.).

ზირსელთა ზვრებში

ჯახეთში პირველად რთველი დაიწყო ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (სიღნაღის რაიონი). ორ დღეში ღვინის ქარხანას ახ ტონაზე მეტი მაღალი ხარისხის ყურძენი ჩაბარდა. სიმწიფეში შევიდა რქაწითელი, საფერავი, ჩინური... ყურძნის კრეფაში ხირსელებს ეხმარებიან სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობათა მშრომელები. მეურნეობის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს რთველი ორ კვირაში დაამთავროს და სამშობლოს მისცეს 1.800 ტონაზე მეტი ყურძენი.

სურათზე: ზემოთ თქვენ ხედავთ ხირსის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს **ნ. კოკუაშვილს** (მარცხნივ) და ბრიგადირს **ა. შალვაშვილს,** რომლებიც ამოწმებენ ყურძნის ხარისხს. ქვემო სურათზე აღბეჭდილია რთველი ხირსის მეურნეობაში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით, საბჭოთა და იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოდა ამხ. **ვლადიმერ ივანეს-ძე მაისურაძე** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

ცხაკაიას რაიონი—მეცხოველეთა შეჯიბრებაში გამარჯვებული



ქარგი. მუშაობით სახელი გაითქვა ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის მწველავმა ბონდო გარუჩავამ. მან მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე 1 სექტემბრამდე მიიღო 1.600 კილოგრამი რძე და ამით წლიური დავალებაც შეასრულა. **სურათზე:** მოწინავე მწველავი ბ. გარუჩავა.

ავამოქმედებთ ახალ რეზერვებს

გვესაუბრება პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი

ვ. ესვანჯია

ცხაკაიელ მშრომელთა დაუღალავი შრომა, მონდომება და თავდადება ღირსეულად დაფასდა,— თქვა **„კომუნისტის“** თანამშრომელთან საუბარში ვ. ესვანჯიამ, — მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებამ უსაზღვროდ აღაფრთოვანა მთელი რაიონი.

სახელოვან მეცხოველეთა გამარჯვება რაიონის ყველა მშრომელის გამარჯვებაა. ამ დიდ წარმატებაში ყველამ შეიტანა თავისი წვლილი.

რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება იოლად არ მოსულა, რაიონის პარტიულმა, საბჭოთა. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს მეცხოველეთა დასარაზმად შარშანდელი ზამთრის ძნელ პირობებში პირუტყვის სანამუშო მოვლის, სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

1972 წლის მეოთხე კვარტალისა და 1973 წლის პირველ ნახევარში წინა ზამთრის შესაბამის პერიოდთან შედარებით ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის ხორცის წარმოება 134 ცენტნერით გაიზარდა, რძისა — 821 ცენტნერით, კვერცხისა — 780.700 ცალით. მოსახლეობისათვის აუცილებელი ამ უპირველესი საკვები პროდუქტების წარმოების ზრდამ გამოიწვია სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გადიდებაც.

იმავე პერიოდში სახელმწიფომ მეცხოველეებისაგან მიიღო 466,5 ცენტნერით მეტი ხორცი, 751,2 ცენტნერით მეტი რძე, 739,3 ათასი ცალით მეტი კვერცხი. გაიზარდა პირუტყვის სულადობაც: ხბოსი 156 სულით, გოჭისა — 391 სულით. ამრიგად, შეიქმნა ბაზა მეცხოველეობის სულადობის შემდგომი ზრდისა და სანაშენო პირუტყვის გამრავლებისათვის. 1973 წლის 8 თვეში მიღებულია 13.563 ცენტნერი რძე, რაც 543 ცენტნერით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე. ასევეთვე საგულისხმო მაჩვენებლებია მეცხოველეობის სხვა დარგებშიც.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმების წარმატებით განაღდებისათვის. პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს მეძროხეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის მუშაკებმა და სპეციალისტებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს დიდი რაოდენობით პროდუქტები და 24 აგვისტოსათვის უკვე გაანაღდეს რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება. ასევე რძის წარმოების წლიური გეგმა უკვე შეასრულა ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობამ. კარგად იმრომა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეღორეობის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქი მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების 9 თვის გეგმა 107,8 პროცენტით შეასრულა, ეს გასული წლის შესაბამის პერიოდს 58 ცენტნერით აღემატება. კარგი მაჩვენებლები მოიპოვა სოფელ ძველი სენაკის მეღორეობის სანაშენო მეურნეობის კოლექტივმა.

რაიონის მეცხოველეობის დარგს ბევრი წარჩინებული ადამიანი ჰყავს. აი მათი სახელებიც: გერონტი რეკვავა და ბონდო გარუჩავა (თეკლათიდან), ყორეი ტყებუჩაი (ზანდიდან) და პროკოფი ქადარია (უშფათიდან), შოთა ბაბილუა (ძველი სენაკიდან) და ალექსანდრე ხუნწარია (ტეხურის მეურნეობიდან), პანტელეიმონ სიჭაია (ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობიდან) და მრავალი სხვა.

ეს ადამიანები რაიონის მშრომელთა პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ საშუალო სკოლის ბევრმა კურსდამთავრებულმა ფერმებში მუშაობის სურვილი გამოთქვა. ახლა რაიონში შექმნილია შრომის, მორალური და მატერიალური წახალისების ისეთი პირობები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტ ახალგაზრდას იზიდავენ მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ.

დაწესებულია თეკლათელი მეცხოველის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერის **გერონტი რეკვავას სახელობის რაიონული პრემია.** ეს ფაქტი უკვე თავისთავად მეტყველებს ამ სახელოვანი მეცხოველის დიდ ავტორიტეტზე. რაოდენ საამაყოა, როცა ხალხი ასე გაფასებს, როცა შენს სახელს მეცხოველეთა შუაკურად მიიხენენენ.

რაიონის მშრომელთა და მეცხოველეთა უპირველესი საზრუნავია პირუტყვის უზრუნველყოფა მტკიცე საკვები ბაზით. ამჟამად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების მთელი ყურადღება აქეთკენ არის მიმართული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიდი ჯილდო — წითელი დროშა რაიონის ყველა მშრომელს, მეცხოველეობის დარგის თვითეულ მუშაკს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს უფრო დიდი ამოცანებისა და პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. საჭიროა გავამართლოთ ეს მაღალი ნდობა.

სწრაფად გავზარდოთ ფრთების ნაყოფიერება

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური და ქუთაისის საქალაქო კომისიების სხდომა

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ქალაქის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით.

ქუთაისის ავტომექანიკოსებმა ოლექტივმა შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებისათვის ბრძოლის გარკვეული გამოცდილება შეიძინა. თავის დროზე მან აქტიურად დაუჭირა მხარი ორკის საავტომობილო ქარხნის სოციალისტური შრომის გმირის ა. ი. ფეტისის მჭიდროთა ბრიგადის თაოსნობას, რომელმაც წინადადება შეიტანა შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალ რეზერვებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს შეჯიბრებაში, პირადი გეგმების შედგენაში, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებაში ფორმალიზმის აღმოფხვრას. თვითეული მუშის პასუხისმგებლობის ფრაქციის ბოლოს ერთ მათგანზე შეეფარდით — მოგვიწყო კიდული კონვეიერი ბოთლების ტრანსპორტირებისათვის.

მალე პროექტიც გამზადდა. საფონტეო ბრიგადამ კომუნისტ ლ. გოგალაძის ხელმძღვანელობით ეადამდე მაღალხარისხოვნად მოაწყო ყველა სამუშაო, და სიახლეიც წარმატებით დაინერგა საწარმოში. იგი ყოველწლიურად 30 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას გვაძლევს.

ეს ტექნიკური ღონისძიება ჩვენი ქარხნისათვის არც პირველია და არც უანასკნელი. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ახალი ტექნიკის დანერგვას, რაციონალიზაციასა და გამომგონებლობის დიდ ყურადღებას აქცევს. პარტიულ ორგანებსა და პარტბიუროს სხდომებზე პერიოდულად განვიხილავთ ტექნიკური პროგრესის საკითხებს და ვიღებთ სათანადო დადგენილებებს, რომელსაც ეოველი ორგანიზატორული მუშაობით განვამტკიცებთ.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქარხნის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო. რომელსაც ჩვენი მეთაური ინჟინერი, კომუნისტი თ. სარიშვილი ხელმძღვანეველებს. სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოზე წყდება მრავალი მნიშვნელოვანი წინადადების აკადემიურობის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის წარმოებაში დანერგვის ასპექტებზე. ქარხნის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო ეხმარება ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ინჟინერ-საბაბაზანე საამქროს ზეინკლებს, ინჟინერ-ელექტრიკოსებს, ინჟინერ-ტექნოლოგებს, ინჟინერ-ეკონომისტებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ეკონომისტ ბ. ნოზაძეს.

ქარხანაში დიდი რაოდენობით გვეერდება მინის ლეწვა, რომელიც დაბარისხებას მოითხოვს. ამ მძიმე ხელით შრომას ეწეოდა 8 ქალი. ავტომატი დაიწყო ძიება, ფიქრი ტექნიკურ საბჭოში გადაწყდა მოგვიწყო შემოხიდული მინის ლეწვის მექანიკური დამზადება. 12 რაციონალიზატორული წინადადება. ჩუბაკის მიერ შექმნილ ბოთლის საყელურების რგოლების და თეთრი და შავი ფორმების დასაშეშვებელ სამარჯვეს, ჩვენი ქარხნის გარდა საბჭოთა კავშირის შიგნის სხვა ქარხნებშიც წარმატებით იყენებენ, ნოვატორი მუშის დამსახურებაა ასევე, რომ ქარხნის მექანიკურ საამქროში წარმატებით მზადდება ბოთლის დამყალებელი მანქანების სათადარიგო ნაწილები. ჩუბაკი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სარატოველთა ინიციატივას და შეიმუშავა ორ-ოთხ ბოთლიანი ბარაბანი. ეს საქმეც კომუნისტებს მივანდეთ და ჩანაფიქრს მალე შეესნა ფრთები. შარშან ხელით მძიმე შრომისაგან გავთავისუფლეთ ქალები. ეკონომიამ წლიურად 7 ათას მანეთზე მეტი შეადგინა.

ტექნიკური პროგრესის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. მარტო შარშან ქარხნის რაციონალიზატორთა მიერ შემოტანილ წინადადებათა რიცხვიდან ხაწარმომ მიიღო 22 ათას მანეთზე მეტი ეკონომია. ერთ-ერთი ნაყოფიერი რაციონალიზატორია კომუნისტი შ. ჩუბაკო, რომელიც ჩვენთან 1966 წლიდან მუშაობს. მის მიერ შემოტანილი და წარმოებაში დანერგილი

შარშან და წელს სამჯერ მიიწყო კონკურსი საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებაზე. პირველ კონკურსში [illegible] რჩეულებად იქცნენ კომუნისტი [illegible] ბლიაძე (თანაავტორი [illegible]ძე), მეორე კონკურსში [illegible] ბაკო.

პარტიულმა ორგანიზაციამ შარშანვე მოიწყო თეორიული კონფერენცია ფურცლით „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი — წარმოების“, რომელშიც მიტად შინაარსიანი მოხსენებებით გამოვიდნენ კომუნისტები — ოქტომატიკის საამქროს უფროსი ა. ქალიაშვილი, სამანქანე-საბაბაზანე საამქროს ტექნოლოგი ა. ჩადუნელი და სხვები.

მიმდინარე წელს ქარხანაში განხორციელდა ბუნებრივ გაზზე გადასვლა. ამ საამოთოთა შესრულებაში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი კომუნისტებმა: გაზის მეორეწიმოის ოსტატმა ბ. მაჭარაშვილმა, საამონტაჟო ბრიგადის ოსტატმა ლ. გოგალაძემ. ოქტომატიკის საამქროს ოსტატმა ა. ქალიაშვილმა და სხვებმა.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას აქცევს არა მარტო ახალი ტექნიკის დანერგვის, არამედ მისი დანერგვის ეფექტის ზუსტად დაცვას, რადგან ვიცით, რომ თვითეული დაჩქარებული წუთის დამატებითი პროდუქციაა წარმოებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში აქტიური მონაწილეობის მიღების მიზნით გამოვიხმაურეთ მოსკოვის ოლქის ნოგინსკის თბოაპარატების ქარხნის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრთა ინიციატივის პირველი შემოქმედებითი გეგმებით მუშაობის შესახებ. საზოგადოების 30 წევრმა შეიმუშავა ისეთი გეგმები, რომლებშიც განსაზღვრულია მათი აქტიური მონაწილეობა ტექნიკურ პროგრესში.

თუ როგორ იხმაურეს ამა თუ იმ საამქროს ხელმძღვანელობა ახლას, მოწინავის წარმოებაში დანერგვას, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შეფასებებსა. ამ საამქროს, რომელიც სუსტად მუშაობს ტექნიკური პროგრესის საქმეში, ეფექტი ნაკლებ ჭეულებს, რაც საბოლოოდ ანგარიშით მოქმედებს მათ მიერ მიღწეულ შედეგებსა და ადგილზე.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში დიდ დახმარებას გვიწევს მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა ეკონომიური განათლების სისტემაში. დღეისათვის ეკონომიკის საკითხებს, ეუფლება ქარხნის 537 მუშა-მოსამსახურე.

ახალი ტექნიკის დანერგვაში აქტიურ მონაწილეობას ეთვალთვალებ ქარხანის ფინანსური ეკონომისტი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ თანამეგობრობის ქვეყნების პრესა, რადიო და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მოძმე ქვეყნების საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამბავს საბჭოთა კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელის დაჯილდოების შესახებ.

ᲡᲝᲤᲘᲐ. დიდია ლ. ი. ბრეჟნევის დამსახურება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში, მისი პირადი წვლილი ბულგარეთის აღმავლობაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების, სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის შეკავშირებასა და გაერთიანებაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, წერს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში“ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. ლუკანოვი.

ყველასათვის ცნობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წვლილი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაში, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენებისა და ორგანიზაციების, ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობის პერსპექტივაზე „ცივი ომიდან“ გადასვლის პროცესში. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პიროვნება ომის მკაფიო დადასტურებაა, რომ, თუ ხელმძღვანელი, რომელიც ზედმიწევნით ფლობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, კლასისა და ხალხის მისწრაფებებს გამოხატავს, იგი ხელს უწყობს ისტორიის ობიექტურ პროგრესს.

ბულგარელი ახალგაზრდობა იცნობს, პატივს სცემს და უყვარს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი — ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი, ხალხს უსვამს ახალგაზრდობის დემიტროველთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბეტრანოვი. იგი აღტაცებულია მისი კომუნისტური სიმტკიცით, ლენინური პრინციპულობითა და თანამიმდევრულობით, დაუშრეტელი ენერგიითა და ძალღონით, რომელსაც ახმარს XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის კიდევ უფრო მჭიდრო შეკავშირებას.

სსრ კავშირის სახით ჩვენს საშობლოს ჰყავს გულწრფელი და ერთგული მეგობარი, აღნიშნავს „ნაროდნა ᲐᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ“ სოციალისტური შრომის გმირი კოოპერატორი მ. ბრუნოვი. ლ. ი. ბრეჟნევისათვის „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის“ წოდების მინიჭება ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს ძმურ მეგობრობას, მისი როგორც ბრძენი ხელმძღვანელისა და ბულგარეთის დიდი და გულთადი მეგობრის განსაკუთრებულ დამსახურებათა საყოველთაო-სახალხო აღიარებას.

პრაღა, გაზეთი „რუდე პრავო“ წერს, რომ ლ. ი. ბრეჟნევისათვის მაღალი წოდების მინიჭება — ეს არის დიდი პატივისცემის გამოხატულება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისადმი, მისი განსაკუთრებული დამსახურების დიდი შეფასება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში, განმტკიცებასა და გაღრმავებაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში, მისი აქტიური მონაწილეობისა პიტლერიული ფაშიზმის დამარცხებაში, მისი პირადი წვლილისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზისა და საბჭოთა სამშიდობო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზს უსვამს, რომ ლ. ი. ბრეჟნევს მაღალი წოდება მიენიჭა უდიდესი დამსახურებისათვის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებასა და გაღრმავებაში, თვალსაჩინო როლისათვის „ცივი ომის“ ლიკვიდაციასა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების პროცესში.

გაზეთი „ეოლნეკ ვოლნოსტი“ წერს, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადწყვეტილება — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კომუნიზმის მშენებლობის გენერალური ლენინური ხაზის შემუშავებასა და რეალიზაციაში ლ. ი ბრეჟნევის წვლილის და სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობიანი პოლიტიკის აღიარება, სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცების ინტერესებისადმი ბი- ნი დაუცხრომელი მოღვაწეობის აღიარება. (საკდესი).

სოლიდარობა ჩილელ ხალხთან

ᲑᲝᲒᲝᲢᲐ. 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). კოლუმბიის პარლამენტართა ჯგუფმა აქ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც გასაცადად, რომ მხარს უჭერს ჩილეს სახალხო მთავრობას და სოლიდარობით ეკიდება ჩილელი ხალხის ბრძოლას თავისი უფლებებისათვის.

სენატის თავმჯდომარის მოადგილის ვიქტორ რეინან ბარკოსა და წარმომადგენლთა პალატის თავმჯდომარის დავით ალსუერე რამირესის მეთაურობით კოლუმბიის კონგრესის 121 წევრის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მკვეთრად არის დაგმობილი ჩილეს მემარჯვენე ძალების ხრიკები.

„ჩვენ, კოლუმბიელები, გულწრფელად ვერ მოვეკიდებით ჩილეს დემოკრატიის შემდგომ ბედს, რომელიც დაადგა კონტინენტზე რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის გზას“, — განაცხადეს კოლუმბიელმა პარლამენტარებმა. თავისი ქვეყნის ხალხის სახელით მათ მხარი დაუჭირეს ჩილელმი მიმდინარე რეგიონალიურ გარდაქმნებს.

ᲕᲘᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲗᲘ

● ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲣᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ ● ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲣᲔᲚᲝᲜᲘ ● ᲛᲔᲡᲐᲑᲭᲔᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ● ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ჩილეს კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის მთელ დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა, რომ შეკავშირდნენ. ახლა, განაცხადა ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრმა ორლანდო მილიასმა, თავისი პარტიის სახელით რადიოთი გამოსვლისას, ხალხის ერთიანობა-პირველ პლანზე უნდა იდგეს. ამ ერთიანობას შეუძლია შეუშალოს და კიდევაც უნდა შეუშალოს ხელი სამოქალაქო ომის გაჩაღებას, გზა დაუღოროს სახელმწიფო გადატრიალებას, შეუძლებელი გახადოს კანონიერი მთავრობის დამხობა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა რადიომსმენელებს მოაგონა, რომ გაეტიურედა მემარჯვენე ოპოზიცია, გახშირდა რეაქციული ძალების აშკარად ფაშისტური ხასიათის გამოსვლები, და აღნიშნა, რომ ამ პირობებში ყველა დემოკრატის მოვალეობაა მიიღწიონ სავირო თანხმობას, რათა გზა გადაუღობონ ფაშიზმს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხაზი გაუსვა ო. მილიასმა, კომუნისტთა და სოციალისტთა კავშირის განმტკიცებას, სახალხო ერთიანობის პარტიათა შეკავშირებას. დადგა დრო. პრაქტიკულად განვახორციელოთ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის არაერთგზისი განცხადებანი კონსტიტუციისა და კანონიერების ფარგლებს გარეთ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ყოველგვარი ცდის დაგმობის შესახებ.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მძიმე დღეები დადგა, ფაშისტური საფრთხის წინაშე თვითეული პატრიოტის უმაღლესი ვალია თავიანთი წვლილი შეტანონ ხალხის ერთიანობის განმტკიცებაში, მიაღწიონ მთავრობისა და ოპოზიციის დემოკრატიული ძალების ურთიერთგაგებას, თქვა ო. მილიასმა. კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ ეს საკმაოდ შესაძლებელია.

ხალხმა, როგორც 4 სექტემბრის დემონსტრაციებმა ცხადყვეს, შეგნო საშიშროება და მზად არის ორგანიზებულად დაიცვას თავი, აღნიშნა შემდეგ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრმა, რადგან საქმე ეხება როგორც სახალხო მთავრობის დაცვას, ისე მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა ჩილელი პატრიოტის ინტერესების დაცვას.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ, 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ჩილეს დედაქალაქში უმჯობესდება პირით მომარაგება, რომელიც სერიოზულად იყო დარღვეული იმის შედეგად, რომ მოღამისტრ ელიმენტებმა სანტიაგო-სან-ანტონიოს ხაზზე აფეთქეს რკინიგზის უბანი და შეწყდა მატარებლების მოძრაობა. ქირას სან-ანტონიოს ნავსადგურიდან დაქალაქში ჩამოვიდა მარცვლეულით დატვირთული პირველი ეშელონი. იგი მაშინვე გადმოტვირთეს. მიღებული მარცვალი გაიგზავნა წისქვილებში. მალე კიდევ ჩამოვა მარცვლეულით დატვირთული რამდენიმე შემადგენლობა.

სანტიაგოსა და ჩილეს სხვა ქალაქებში გამართული ათასობრივი ყვირილით ათასობით ჩილელი მონაწილე ცლიდა აგრეთვე ქვების პროდუქტებს, ეხმარებოდა სახლების გასაფთხილ საწვავის განაწილებაში, ტვირთავდა ქიმიურ სასუქებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გასაგზავნად, სადაც მთავრდება თესვის საზამთრო კამპანია.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ, 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ჩილეს მთავრობამ შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ხელს მოჰკიდებს სოფლისათვის და პირველი საჭიროების საგნებით მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციას. საქონლის მიწოდება მოსახლეობისათ ვ ი ს, როგორც ცნობილია, დაირღვა ექრძო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ მოწყობილი უკანონო გაფიცვებისა და რეაქციის ტერორისტული მოქმედების შედეგად.

მიღებულია აგრეთვე გადწყვეტილება, რომ მოსახლეობას უშუალოდ მიეყიდოს პროდუქცია, რასაც აწარმოებენ წვრილი და საშუალო ექრძო საწარმოები, რომლებიც განიცდიან გასაღების სიძნელეებს გაჭირთა გაფიცვის გამო.

შოფერთა ეროვნულ კონფედერაციაში გაერთიანებულმა ექვსათასამ შოფერმა გადაჭრით დაჰმო სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების დანაშაულებრივი გაფიცვა და განაცხადა, რომ მზად არიან იმუშაონ, თუ მთავრობა მისცემს მანქანებს.

ამავე დროს ფაშისტური ბანდები არ წყვიტენ დივერსიებსა და ტერორისტულ აქტებს ქვეყნის პატრიოტული ძალების წარმომადგენლთა წინააღმდეგ.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ, 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დღეს ჩილეში მოახდინეს რეაქციული სამხედრო ამბოხება *რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ამბოხებულებმა მოითხოვეს პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს გადადგომა.

რადიოსადგურებით, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ალიენდემ. მან განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადწყვეტილი რადაც უნდა დაუჯღეს, დაიცვას დემოკრატიული რეჟიმი. მისი გამოსვლის მომენტში პრეზიდენტის სასახლის თავზე, სადაც იგი იმყოფება, გამოჩნდა ამბოხებულთა თვითმფრინავები.

განცხადებანი მთავრობის მტკიცე მხარდაჭერის შესახებ გაკეთდა სახალხო ერთიანობის ბლოკში შემავალი ყველა პარტიამ.



ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. ხაიხუნგის პროვინციის ხასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პლანტაციებში ჯუთი მომწიფდა. წელს კოოპერატივების წევრები ვარაუდობენ სახელმწიფოს გეგმის ვადამეტებით მიჰყიდონ ასობით ტონა ჯუთის ბოჭკო, რომლის ნაწილი ექსპორტირებული იქნება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘ: ᲑᲝᲭᲙᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲑᲘᲜᲛᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡᲨᲘ.

ᲤᲘᲐ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მიმოიხილავს მთავრობის საკანონმდებლო ღონისძიებებს იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გამო, რომელთა წინაშე დგას ახლა შეერთებული შტატები.

რ. ნიქსონმა აღნიშნა სტრატეგიული ატომური შეიარაღების შენღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე უკვე მიღწეული პროგრესი. „პერსპექტივაშია სხვა შეთანხმებათა დადება“, — თქვა მან. ამასთანავე პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის შემცირების წინააღმდეგ, როგორც მან განაცხადა, „ვეტოს დაადებს ყოველგვარ კანონშრომელ პროექტს, რომელიც ასეთ შემცირებას გათვალისწინებს“.

პრეზიდენტმა მოუწოდა კონგრესს დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის მიერ წამოყენებული „1973 წლის საგაჯრო რეფორმის კანონის“ თაობაზე. კანონპროექტი ითვალისწინებს, კერძოდ, უმეტესი ნაღშეწყობის რეკომენდაციის გაჯრობაში საბჭოთა კავშირისათვის.

ახლა, ნათქვამია წერილში, ამერიკის შეერთებული შტატები დგას „გადაუდებელ პრობლემათა“ წინაშე, და „წლის დამლევამდე დარჩენილი თვეები ერისათვის იქნება „სერიოზული გამოცდის პერიოდი“.

□

ᲔᲣ. ᲞᲝᲛᲞᲘᲓᲣ ᲑᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დღეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა. ვიზიტი ერთ კვირას გასტანს.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲢᲝᲜᲣ, 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ტოგოს დედაქალაქ ლომეში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ტოგოს რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის ოქმს 1973-1974 წლებისათვის. ოქმით გათვალისწინებულია ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება ეროვნული კადრების მომზადების საქმეში. 50-ზე მეტი ტოგოელი ქალიშვილი და ბიჭი ამიღებს შესაძლებლობას განაგრძოს განათლება საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. გარდა ამისა, საბჭოთა მასწავლებლები იმუშავებენ ტოგოს სასწავლებლებში. მხარეები შეთანხმდნენ გამართონ მოლაპარაკება, რათა დადონ შეთანხმება ორივე ქვეყანაში გაცემული და მინიჭებული დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების ეკვივალენტობის შესახებ.

ფართოვდება აგრეთვე ახალგაზრდობის, კულტურის მოღვაწეების, მსახიობების, სპორტსმენების დელეგაციათა გაცვლა.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ყირიმის მეგობრული შეხვედრა უპირველეს საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. ნათქვამია მოწინავე სტატიაში „მშვიდობიანი შეტევა“, რომელიც სკკპ-ის ნომერში გამოქვეყნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულმა და პოლიტიკურმა ჟურნალმა „ნოვი დროგმ“.

ყირიმის შეხვედრის მონაწილეებმა, რომლებიც განაგრძობენ სკკპ XXIV ყრილობის სამშვიდობო პროგრამასა და სხვა მოძმე პარტიების გადაწყვეტილებებში დასახულ ნაყოფიერ მოცადინეობას და მოლიანად ეთანხმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმის მიერ ამ პროგრამის შესრულების საფუძვლიან შეფასებას, ნათქვამია სტატიაში, დასახეს აგრეთვე სხვა ამოცანები, რომელთა გადაჭრას მიმდინარე ეტაპზე ხელი უნდა შეუწყონ სოციალიზმის გაერთიანებულმა მატერიალურმა და იდეურ-მორალურმა ძალებმა. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება იმას, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტენსიურმა პროცესმა, რომელიც აახლოვებს ევროპის მშვიდობის ზონად გადაქცევას, მოიცვა მთელი მსოფლიო.

„მაოისტთა კურსი, — წერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, — ძირეულად ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს, მსოფლიოში სოციალიზმისა და პროგრესის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკის შევინისტური, დიდმპყრობელური კურსი განსაკუთრებით ვლინდება ყალბ, თავისი არსით პროვოკაციულ დოქტრინაში „ორი ზესახელმწიფოს“ შესახებ, რომლის საშუალებითაც ჩინეთის კომპარტია ცდილობს დაანინოს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მნიშვნელობა, გაწყვიტოს სოციალისტური თანამეგობრობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი და შეაფერხოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის კონსოლიდაციის პროცესები. ჩინეთის კომპარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობის ანტიმარქსისტული იდეოლოგიისა და მავნე პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა კომუნისტური და მუშათა პარტიების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს განიკუთვნება, შეისაბამება მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს“.

მოძმე ქვეყნების პოლიტიკის ჭეშკუთხელი, ნათქვამია მოწინავის დასასრულს, არის და იქნება ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის განმტკიცებას.

ᲡᲐᲥᲗᲐᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). აგრეთვე კაიროში ჩამოსულმა სირიის ეროვნულ-დანიის მეფემ ჰუსეინმა ორშაბათს მოაწყვეს შეხვედრა, რომლის დროს განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა ისრაელის განუწყვეტელი აგრესიის თვალსაზრისით. შეხვედრაზე აღძრეს აგრეთვე სამი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები და ზოგიერთი სხვა პრობლემა.

ᲡᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ

ᲑᲝᲒᲝᲢᲐ. 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). კოლუმბიის პარლამენტართა ჯგუფმა აქ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც გასაცადად, რომ მხარს უჭერს ჩილეს სახალხო მთავრობას და სოლიდარობით ეკიდება ჩილელი ხალხის ბრძოლას თავისი უფლებებისათვის.

სენატის თავმჯდომარის მოადგილის ვიქტორ რეინან ბარკოსა და წარმომადგენლთა პალატის თავმჯდომარის დავით ალსუერე რამირესის მეთაურობით კოლუმბიის კონგრესის 121 წევრის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მკვეთრად არის დაგმობილი ჩილეს მემარჯვენე ძალების ხრიკები.

„ჩვენ, კოლუმბიელები, გულწრფელად ვერ მოვეკიდებით ჩილეს დემოკრატიის შემდგომ ბედს, რომელიც დაადგა კონტინენტზე რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის გზას“, — განაცხადეს კოლუმბიელმა პარლამენტარებმა. თავისი ქვეყნის ხალხის სახელით მათ მხარი დაუჭირეს ჩილელმი მიმდინარე რეგიონალიურ გარდაქმნებს.

ᲛᲝᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲞᲠᲐᲰᲐ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დღეს აქ დაიწყო მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ერთმანეთისადმი ფინანსური პრეტენზიების საკითხებზე. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ი. ფანტოვსკი, ამერიკის დელეგაციას — ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ი. უორტსელი.

ᲨᲔᲗᲐᲥᲪᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲓᲝ

ᲧᲐᲠᲐᲩᲘ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). იმის შესაბამისად, რომ ახლახან დელში დაიდო შეთანხმება სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის ინ ზოგიერთი სადავო პრობლემის მოწესრიგების შესახებ, რომლებიც დარჩა ინდოეთ-პაკისტანის 1971 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, პაკისტანის მთავრობა დათანხმდა მოქალაქეთა რეპატრიაციაზე, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ბანგლადეშიდან პაკისტანში გაემგზავრონ.

ამავე დროს, სინდის პროვინციის მთავრობამ გამოაცხადა, რომ რეპატრიაციისათვის ემზადებიან აქ მყოფი ბენგალიელები ბანგლადეშში გასამგზავრებლად. ეს განაცხადა აქ პაკისტანის თავდაცვის და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა აბიზ აპმადმა.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲒᲑᲐ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲨᲣᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავის გამო აქ გაიმართა დარბაზობა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიმ ირ სენმა.

განვლილი 25 წლის მანძილზე, თქვა, კერძოდ, მან, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ბრწყინვალე გამარჯვებებით აღსავსე ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო და დიდ წარმატებებს მიაღწია რევოლუციისა და მშენებლობაში. ახლა სახალხო კორეა გადაიქცა სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

დღეს, აღნიშნა კიმ ირ სენმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და კორეელი ხალხის წინაშე დგას სამშობლოს გაერთიანების დიდი ამოცანა.

ქვეყნის გაერთიანების გზაზე მდგომ სიძნელეთა გადასალახავად საჭიროა გაგრძელდეს კონტაქტები ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ორ ნაწილს შორის და შეიქმნას კორეის კონფედერაციული რესპუბლიკა. მხოლოდ მაშინ შეიძლება დაგვირგვინდეს დიდი ეროვნული კონსოლიდაციის საფუძველზე სამშობლოს დამოუკიდებელი მშვიდობიანი გაერთიანების დიადი საქმე, აღნიშნა კიმ ირ სენმა.

დასასრულ კიმ ირ სენი შეეხო საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს და ხაზი გაუსვა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, შეკავშირდება სოციალისტურ ქვეყნებთან, საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობასთან, მსოფლიოს მთელ მშვიდობისმოყვარე ხალხებთან და განაგრძობს ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠ.). აქ გრძელდება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის სხდომა, რომელიც განიხილავს ამ ორგანიზაციის წესდების ცვლილებათა პროექტებს.

თათბირის მომდინარეობა გვიჩვენებს, რომ ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ძლიერდება უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში ჩარევის პოლიტიკის გამო.

არგენტინის, პერუს, ჩილეს, ეკვადორისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ შეერთებული შტატები არღვევენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს. მრავალჯერ გააკრიტიკეს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიურ და პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქციოს კუბა.

სპეციალური კომიტეტის სხდომებზე ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ გადაიხედოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდება, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვეღარ მოახდინონ ეკონომიური და დიპლომატიური ზეგავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე.

არგენტინის წარმომადგენელმა რაულ კინნომ პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ფარგლებში ხელმოწერილ შეთანხმებებს ხშირად იყენებენ ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში „იმპერიალისტური ჩარევის იარაღად“.

პერუს წარმომადგენელმა ელჩმა ლუის ალვარადომ განაცხადა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია უნდა იყენებდეს საწქაოებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ზეგავლენის ეკონომიური საშუალებებს მიმართავენ. პერუს წარმომადგენლის ეს სტატეგია პირდაპირ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲓᲐᲚᲐᲥᲗᲐᲜ — ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲗ

ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘ. მას შემდეგ, რაც დადგენილებებმა და დირექტივებმა, რომლებიც მამაკაცებს უკრძალავდნენ გრძელი თმების ტარებას, არ იქონიეს გავლენა მოდური გარეგნობის მქონე ახალგაზრდებზე, მალაზიის პოლიციამ სიტყვადან საქმეზე გადავიდა. ქალაქ კოტაკინაბალუში წესრიგის დამცველებმა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში 350-ზე მეტი გრძელთმიანი ახალგაზრდა მიიყვანეს. პოლიციის მიერ მოწვეული რამდენიმე ათეული დალაქი ნიშნის მიცემისთანავე შეუდგა საქმიანობას — აიმუშავა მაკრატელი და საკრეკი მანქანა.

66 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ

ᲡᲝᲩᲘ. სამი წლის განმავლობაში ბულგარეთის 66 წლის მცხოვრებმა იორდან დრაგნევმა ევროპის გზებზე 12 ათასი კილომეტრი განვლო. ეს გზა მან გაიარა... ველოსიპედით. მოგზაურობის დროს ი. დრაგნევი ეწვია 17 ქვეყანას, ხაშალოდ დღეში იგი 120 კილომეტრს გადიოდა. (საკდესი).

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲛᲐᲜᲔ

მიეძღვნა ახალი სასწავლო წლის დაწყებას

ცოდნის ზეიმი

ბასული ავირალლი — 9 სექტემბერი დილიანს ეხსომება დედაქალაქის მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას. საქართველოს ალკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა და „გამარჯვების“ (ვაკის) კულტურისა და დასვენების პარკის დირექციამ მოწყვეს ახალი — 1973-1974 სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ზეიმი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისა.

აქ იყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, იყიდებოდა წიგნები, გრამფირფიტები, ყვავილები... იყო ვიქტორინები, ბავშვთა მაობრივი გართობა-თამაშობა, ატრაქციონები. საინტერესოდ მიეწყო ხეიციალური შეხვედრები სპორტულ მოედნებზე, ლექციები. საზეიმო სხდომაზე პროფესორ-მასწავლებლები შეხვდნენ სტუდენტებს, კომკავშირის პრემიის ლაურეატებს, მსოფლიოს ფესტივალის მონაწილეებს.

სურათზე: მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ზეიმის მონაწილეთა — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ს. კილაძის ფოტო.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ვიდრე ფყლით დაიფარებოდეს

როგორც ცნობილია, ენინგალში და მის მიდამოებში 1971 წლიდან საქმიანობს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის მიზანია შეისწავლოს ყველა ის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მომავალი წყალსაცავის ირეშია მოქცეული და უახლოეს წლებში წყლით დაფარავ ძალეს.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განსაკუთრებით ფართოდ გაშალა მუშაობა მიმდინარე წელს.

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ა. თომაძე შეხვდა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს რაინინ რამიშვილს და რამდენიმე კითხვით მიმართა. ვაქვეყნებთ ამ საუბრის შინაარსს:

— როგორია ექსპედიციის ძირითადი მიზანდასახულება და რა შედეგები აქვს მოპოვებული გასულილი წლების მანძილზე?

— ქართული ისტორიული წყაროების მეტად ძუნწი და ფრაგმენტული ცნობებით ენინგალი (ასე ეწოდებოდა ენინგალს ამ უკანასკნელ დრომდე) წარმოადგენდა საქართველოს ერთერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრს.

მთისა და ბარის საზღვარზე, არაგვის ხეობის შესასვლელში აღმოცენებული ქალაქი, პირველ რიგში საიმედო კონტროლს უწევდა საერთაშორისო მნიშვნელობის ჩრდილოეთის დიდ გზას, რომელიც, უპირატესად „დარიალის“ გზის სასეილით არის ცნობილი და მის მრავალ გზატკეცილს, რომელთა უმრავლესობა ენინგალში იყრიდა თავს. აქვე, ენინგალში გადიოდა ისტორიული ფხოეზე, არღუნის ხეობისაკენ მიმავალი გზაც.

ამასთანავე, ენინგალი ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უმთავრეს პოლიტიკურ ცენტრს, საიდანაც ხორციელდებოდა დაენინაურებული ბარის კონტროლი მესაქონლეობით მდიდარ „შვიდთავეს მთიულეთზე“. აქედან გამომდინარე, ენინგალი საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდ სტრატეგიულ და ეკონომიურ ცენტრს და ალბათ ხელისუფლების საგანგებო ურუნეის საგანსაც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ენინგალი თანამედროვე მკვლევართა მიერ მაინც არ იყო მიჩნეული ფეოდალური საქართველოს სხვა ცნობილ ქალაქთა ტოლად. ამის მიზეზად არა მარტო კონკრეტულ ისტორიულ ცნობათა უკმარისობა უნდა მივიჩნიოთ, არამედ ისიც, რომ თანამედროვე ენინგალს დიდქალაქობის კვალი, გარეგნულად, თითქმის აღარც კი ეტყობოდა. დროთა სიავგან ისე ეკრნოვა ძველი ქალაქის სახე, რომ, საბოლოოდ, გარდა ერთი ზურგიანი კოშკისა (სოფლის შუაში) და გალმა-გამოღმა მთის ქიმებზე წამომდგარი ორი ციხის ნაშთისა, არაფერი არ იქცევდა მნახველის ყურადღებას. და ეს არც არის გასაკვირელი, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორც ცნობილია, თემურლენგის უკანასკნელ შემოსევათა რიხხვა ძირითადად არაგვის ხეობას და მის ჭიშკარს — ენინგალს დაატყდა თავს და, თუ რა საშინელი სისასტიკით ანგრევდა კოჯრი სარდალი ეცხო ქალაქებსა და ციხეებს, ეს ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, განსაკუთრებით მიმდინარე წელს, საგრძნობლად შეავსო ჩვენი ცოდნა ენინგალის, როგორც ფეოდალურ ბანის ქალაქის შესახებ და გვიჩვენა, რომ იგი წარმოადგენდა მთიულეთისა და ფშავის არაგვთა შენაერთში, ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილ დიდ ქალაქს, რომელიც სამი ძირითადი უბნისაგან შედგებოდა. ამათგან უმთავრესს დღევანდელი მოსახლეობა „ნაქალაქარს“ უწოდებს (ფშავის არაგვის მარცხენა სანაპიროზე, ხევსურეთის ბიდისყურიდან ხერთვისის კოშკამდე). ძველი ქალაქის მეორე, აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვან უბანს (სახეიერო გზის გასწვრივ) უჭირავს თანამედროვე სოფელი ენინგალი. ენინგალის მესამე უბანი მდებარეობდა ხერთვისში — ხორხისა და ფშავის არაგვის ხეობათა შორის შეფენილ ტერასებზე.

არქეოლოგიური კვლევაძიება წელს ჩატარდა ძველი ქალაქის თითქმის ყველა უბანზე. ერთდროულად ითხრებოდა ცხრა ობიექტი. ამათგან საყურადღებო შედეგი მოპოვებული „ნაქალაქარზე“ საცხოვრებელი კვარტალის შუა ნაწილში, სადაც აღმოჩნდა ფერდობზე ტერასულად განლაგებული სახლების ნამთები, როშლებსაც თავის დროზე ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდათ. უფრო დიდრონი და მტკიცე დუდაბით ნაგები კოშკის მიდამოებში თითქმის მთლიანად გამოვლინდა ციხის გალავნის ნაშთები და უზარმაზარი მარანი 20 დიდი ქვევრით ციხის ქვეშ და ტერასზე. ამასთანავე ნაწილობრივ ამოსუფთავდა ზურგიანი კოშკის სამხრეთი ნაწილი, სადაც დიდი რაოდენობით ამოდის გვიანი და შუაფეოდალური ხანის ნასახლები. მათ შორის განსაკუთრებით მრავლად არის ფაიანსისა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ კოშკის აღნიშნული ფენები მე-12-მე-13 საუკუნეებით დავიათარიღოთ. თუმცა ეჭვი არ გვაქვს, რომ აღნიშნული კოშკი რამდენადმე ადრეული უნდა იყოს.

კარგი შედეგებით დაგვირგვინდა კვლევა-ძიება ხერთვისის კოშკზეც. სადაც გამოვლინდა სამეურნეო სათავსოების საინტერესო კომპლექსი — საწნახელებით, ქვევრებით, ეკლესიით, სასურსათო ხაროებითა და სხვ. ამ ობიექტებზე უძველესი მასალების ძირითადი ნაწილი მე-12-მე-13 საუკუნეებს განეკუთვნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენინგალის შემოგარენში (ეს ცხადი გახდა ახალი აღმოჩენებით) მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა მევენახეობა, რაც დღეს, სამწუხაროდ, მივიწყებულია.

ისევე, როგორც შარშან, წელსაც დიდი სამუშაოები ჩატარდა „ნაქალაქარის“ სამხრეთნაწილში, სადაც დამატებით აღმოჩნდა ორი ეკლესია, დიდი ზომის აკლდამები და ასზე მეტი ქვის სამარხი, საიდანაც კვლავაც მრავლად მოვიპოვეთ რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა.

წლევანდელ მონაპოვართა შორის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ საკუთრივ ენინგალის ტერიტორიაზე აღმოჩნდა რუსთაველის ეპოქაზე უფრო ადრეული ხანის ძეგლებიც, კერძოდ კვირაცხოვლის მიდამოებში შუა და, ეგზ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნამთები, ხოლო ენინგალის ახალ სასაფლაოზე კი არმაზული ხანის სამარეებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ენინგალი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული.

გარდა ჩაძირვის ზონისა, ექსპედიციამ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩაატარა ახალმშენებლობის სხვა ობიექტებზე. ახალ ენინგალში მოშავალი საავადმყოფოს კომპლექსის საძირკველის ამოღებისას გაითხარა არმაზული და ადრეფეოდალური ხანის 50-ზე მეტი სამარხი. ხოლო ბუფეტული წყალსაცავიანი და საკანალიზაციო ტრასის ზონაში (სოფ. არაგვისპირი) გვიანრომაული ხანის ნამოსახლარი, რომელიც უაღრესად საყურადღებო კერამიკულ მასალას შეიცავს.

ექსპედიციის მუშაობა გრძელდება და იმედია, რომ ჩვენი მონაპოვარი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მომგებიანი იქნება.

— ძეგლის რა ნაწილია შეხვედილი ჯერჯერობით და როგორია არქეოლოგიური კვლევის პერსპექტივები?

— დასაწყისში, როდესაც ჩვენ მხოლოდ სადაზვერვო მასალებით ვიცნობდით ენინგალის ნაქალაქარს, ვგარაუდობდით, რომ ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები 4-5 წლიანი ვადა ამ საქმისათვის ასე უხვად იმიტომ გვაფინანსებს, რომ ეროვნული კულტურის ძეგლები სამუდამოდ შეეწანარჩუნოთ მის შემოქმედ ხალხს და შეუსწავლელი არ დავტოვოთ. ისეთი ძეგლები კი, რომლებსაც არავითარი საფრთხე არ მოელით, შეიძლება რამდენადმე გვიან შევისწავლოთ. მათი კვლევის გადავადებით მეცნიერება ისე არ იზარალებს, როგორც პირველ შემთხვევაში, როდესაც ისტორიულ ძეგლებს 80-90 მეტრი სიღრმის წყალი დაფარავს.

საკმაოდ მწვავედ დგას მუშახელის საკითხიც. ჩვენ გვაქვს კარგი ტრადიცია, როცა ენინგალის ძეგლები. შესწავლაში მესაზე „შრომითი“ სემესტრის წესით ვიყენებთ სტუდენტი-ახალგაზრდობის შრომას, მაგრამ იმის გამო, რომ წელს კვების ბლოკის მუშაობაში დიდი ხარვეზები იყო, ენინგრაწარმოებლის ინტერნატის და ფილოლოგიის ფაკულტეტის 100 სტუდენტის შრომის ნაყოფიერება გაკეთებით დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოველოდით. თუ მომავალში • სტუდენტ-ახალგაზრდობას კვლავ ჩავაბამთ შრომაში.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, მიწას სიღრმეში ჩნდება ახალ-ახალი, მეტად საინტერესო ძეგლები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საგეგმო კომიტეტის ხელშეწყობით დაფინანსების მხრივ ექსპედიცია 1974-75 წლებისათვის უზრუნველყოფილია, მაგრამ...

— მაგრამ ალბათ არსებობენ სხვა პრობლემებიც, რომლებსაც მოგვარებას მოითხოვენ?

— დიახ, ასეთი პრობლემები არის და არა ერთი და ორი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ექსპედიციას არ გააჩნია საჭირო ბაზა და ჩვენს მიერ მოპოვებული 12 ათასი ძვირფასი ისტორიული ღირებულების ნივთი ინახება სხვადასხვა ადგილას. ამასწინათ რეპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადმოგვცა დუშეთის მახლობლად მდებარე მილასხრიანთა სასახლე, რომელიც უკვია „საქსოფლტექნიკის“ დუშეთის განყოფილებას. მას სამაგიეროდ გადაეცა ფიზური სახლი. ასევე ყველაფერი მზადაა შენობის მისაღებად, მაგრამ იგვიანებს „საქსოფლტექნიკის“ ახალი შენობის პროექტი.

მილასხრიანთა სასახლეში მოეწყობა ენინგალის არქეოლოგიური ლაბორატორიისა და ისტორიის ინსტიტუტის ფოტო, სარესტავრაციო, სამსახტვრო და რადიო-ფიზიკური კაბინეტები, რომლის ძვირფასეულობებიც სეფსაწყოფის ინსტიტუტს უკვე შეძენილი აქვს.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თავისი ამოცანა წარმატებით რომ შეასრულოს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აუცილებელია დროზე გადატანინ საღორე, აგრეთვე დაარჩარონ ენინგალის ხუთი მოსახლის ახალ ენინგალში დასახლება, ვინაიდან მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე უნდა დაჩარდეს არქეოლოგიური გათხრები. და ბოლოს, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ექსპედიციას არ აქვს „კოლხოზნიკის“ ტიპის ავტომანქანა, რომლის უქონლობა ხელს გვიშლის დაკისრებული საქმის წარმატებით შესრულებაში, რადგან გათხრების რადიუსი მოიცავს დასახლებით 20-ზე მეტ კილომეტრს. ასევე აუცილებელია ჩვენთვის „ბელარუს“-ის მარკის ტრაქტორი.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენი ექსპედიცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენს ხალხს არ დაუკარგოს თავისი სახელოვანი წარსულის არცერთი მნიშვნელოვანი ნივთი თუ ძეგლი.

* * *

სურათებზე: მარნები ენინგალის ციხისა (მარცხნივ) და ხერთვისის კოშკის ეზოებში.

ვ. ასტახოვის ფოტო.

აეროფლოტის ფელავათები



პირველი ოქტომბრიდან ქვეყნის მეოელ ტერიტორიაზე აეროფლოტი შემოიღებს ავიაბილეთების შეღავათიან ტარიფებს. საქინფორმის კორესპონდენტმა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ი. ავალიანს სთხოვა განემარტა ეს ამბავი.

— ვისზე ვრცელდება შეღავათები?

— აეროფლოტის შეღავათები ვრცელდება მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, ასპირანტებზე, პროფტექნიკურ სასწავლებლის მოსწავლეებზე, ინვალიდებზე, და სხვ.

— რა ოდენობისაა ფასჩამოკლება?

— 50 პროცენტი და 30 პროცენტი.

— ვის მიეცემა ეს შეღავათი?

— ტარიფის 50-პროცენტიანი ფასჩამოკლება მიეცემათ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებათა მოსწავლეებს, საბჭოთა სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთ, და უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც განათლებას იღებენ ჩვენს ქვეყანაში. 50-პროცენტიანი ფასჩამოკლების უფლება აქვთ ამ პირთ, რომლებიც სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების მოსამზადებელ განყოფილებებსა და ფაკულტეტებზე, უმაღლესი პარტიული და საბჭოთა პარტიული სკოლებისა და პროფმომძრაობის სკოლების მსმენელებს, პირველი მსოფლიო, საომარ-ლაქო და დიდი სამამულო ომების ინვალიდებს, არამომუშავე შრომის ინვალიდებს, ბავშვობიდან ინვალიდებს და სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ ინვალიდებს.

— ვის მიეცემა 30-პროცენტიანი ფასჩამოკლება?

— იგი ვრცელდება 12 წელზე მეტი ასაკის მოსწავლეებზე, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და საშუალო სპეციალური და სხვა სასწავლებლების მოსწავლეებზე, რომლებიც მგზავრობენ ჯგუფებად — 15 და მეტი კაცი, ამასთან შეღავათები ეძლევათ პირებს, რომლებიც ახლავან მოსწავლეებს (არა უმეტეს ერთი თანმხლებისა ჯგუფზე, მიუხედავად ამისა, თუ რამდენი კაცისაგან შესდგება ეს ჯგუფი). ასეთივე შეღავათებით სარგებლობენ წარმოების მუშაკთა ჯგუფები, რომლებიც მიემგზავრებიან საწარმოოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შეკვეთით მოგზაურობათა ბიუროს საშუალებით. ამასთან მინდა ხაზი გავუსვა, რომ შეღავათები ჯგუფებს ეძლევათ მხოლოდ მაშინ, თუ მიფრინავენ პირდაპირი რეისებით გაზტურბინის თვითმფრინავებით, იაკ-40 თვითმფრინავის გარდა, გადაუსხდომლად. კიდევ ერთ მომენტზე უნდა შევჩერდეთ ყურადღება. სტუდენტებს, რომლებიც მეცადინეობენ საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე, და ასპირანტებს, რომლებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, შეღავათები მიეცემათ მხოლოდ შვებულების დროს, დღესასწაულისწინა და დღესასწაულის დღეების გარდა, როცა საჭირო არ არის ცნობა შვებულების შესახებ.

— რა წესი მოქმედებს ბავშვების მიმართ?

— აეროფლოტს შეღავათიანი პირობებით ბავშვები გადაპყავს, თუ ისინი 12 წელზე მეტი ასაკისა არ არიან. კერძოდ, ხუთ წლამდე ბავშვები ფრინავენ უფასოდ, ხუთიდან თორმეტ წლამდე 50-პროცენტიანი ფასჩამოკლებით.

— როგორია აეროფლოტის შეღავათების ვადა?

— ისინი მოქმედებენ მომავალი წლის 31 მაისამდე.

(საქინფორმი).

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ...

გუშინ მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების **საკავშირო ჩემპიონატის** მატჩი დედაქალაქის „ტორპედოსა“ და **მინსკის „დინამოს“** შორის. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, პენალტებით კი გაიმარჯვა „დინამომ“ — 5:3.

ორი საინტერესო შეხვედრა გაიმართება დღეს მოსკოვსა და თბილისში. დედაქალაქში დანიშნულია **სსრ კავშირის თასის** გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი **მოსკოვისა** და **კიევის „დინამოს“** შორის, რომელსაც უმსაჯებს ალმაათელი არბიტრი ვ. ტოლჩინსკი. თუ ვინ ითამაშებს ბროლეს თასის ფინალში ერევნის „არარატთან“, ამაზე პასუხს გასცემს ძველი მეტოქეების დღევანდელი შეხვედრა.

ქართველ ფეხბურთის მოყვარულებს საინტერესო სანახაობა ელით თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე: „**დინამო**“ — „**პახტაკორი**“. ეს იქნება ამ გუნდების 24-ე შეხვედრა (მსჯი — კიშინიოველი ი. პონომარიოვი) საკავშირო ჩემპიონატებში. 11 მატჩი მოიგეს თბილისელებმა, 4 — ტაშკენტელებმა, 8 შეხვედრა კი დამთავრდა ფრედ (ბურთების შეფარდება — 41:23).

ᲓᲣᲑᲚᲘᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

გუშინ თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

შეხვედრა მიმდინარეობდა დინამოელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ბურთები გაიტანეს: მასპინძელთაგან — მამესწარაშვილმა და გომართელმა, სტუმართაგან — აშიროვმა.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ცხოვრებოვი, მოჯარი, ა. ასათიანი, გოგიჯანაშვილი (ჩივაძე), მელიქია, კოპალეიშვილი, გ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი (მინაშვილი), მამესწარაშვილი (ჯაფარიძე), ჩხაიძე, წეროეული (გომართელი).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ 8 მატჩი: ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ ანგარიშით 3:2 მოუგო გათამაშების ლიდერს — კამენსკოიეს „ნისტრუს“, ნალჩიკის „სპარტაკმა“ — ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკს“ — 3:2, დუშანბეს „პამირმა“ — ფრუნზეს „ალგას“ — 1:1 (პენალტები — 5:4), ორჯონიკიძის „სპარტაკმა“ — ხარკოვის „მეტალისტს“ — 2:1, კუიბიშევის „კოლოსი სოვეტოვმა“ — ივანოვოს „ტექსტილშჩიკს“ — 2:1; პერმის „ზვეზდამ“ — — იაროსლავლის „შინიკს“ — 3:1, ყარაგანდის „შახტიორმა“ — ლიპეცკის „მეტალურგს“ — 1:0. კემეროვოს „კუზბასი“ თავის მოედანზე დამარცხდა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 0:0 (პენალტები — 5:6). მომდევნო ტური გაიმართება 17 სექტემბერს. ქუთაისის „ტორპედო“ ისპარეზებს ლიპეცკში ადგილობრივ „მეტალურგთან“. 21 სექტემბერს ტორპედოელები ითამაშებენ მოსკოვში „ლოკომოტივთან“, შემდეგ კი ქუთაისში მიიღებენ ყარაგანდის „შახტიორს“ (27 სექტემბერს) და კემეროვოს „კუზბასს“ (1 ოქტომბერს).

□

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 12 სექტემბრისათვის

„ა“ კლასის პირველი ლიგა

	თ.	ბ.	ქ.
„ნისტრუ“	29	54-23	40
„ჩერნომორეცი“	28	57-27	38
„ნეფტჩი“	28	49-27	35
„ლოკომოტივი“	27	32-27	31
„მეტალურგი“ ლ.	27	30-21	28
„ტორპედო“	28	33-36	28
„კრ. სოვეტოვი“	29	35-36	27
„შინიკი“	28	38-25	26
„მეტალურგი“ ზ.	28	43-36	26
„ზვეზდა“	29	35-38	25
„კუზბასი“	29	31-36	22
„ტექსტილშჩიკი“	28	30-36	22
„სტროიტელი“	28	36-46	22
„სპარტაკი“ ო.	28	23-35	21
„მეტალისტი“	29	24-39	18
„სპარტაკი“ ნ.	28	29-42	24
„პამირი“	28	36-30	22
„სპარტაკი“ ა.-ფ.	29	30-48	20
„შახტიორი“	28	30-42	20
„ალგა“	28	17-38	7

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრების მომავალი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში (26 სექტემბერს — მოსკოვში, 21 ნოემბერს — სანტიაგოში) — ჩილეს ნაკრები თავის მოედანზე ამსანაგურ მატჩში შეხვდა ბრაზილიის „რიო-გრანდეს“. ანგარიშით 5:0 გაიმარჯვეს ჩილელებმა. აღსანიშნავია, რომ ყველა გოლი გატანილ იქნა მეორე ნახევარში — აქედან ქრისტომ ორჯერ მიაღწია წარმატებას.

ᲘᲡᲔᲕ „ᲤᲐᲠᲐᲮᲖᲔ“ *ᲕᲘᲓᲙᲝᲒᲐ*

ჯერ კიდევ არ მიმცხრალა საბჭოთა თავისუფალი ხტილის ფალავნების მაღალი ოსტატობით გამოწვეული ტაში და აი თეირანის „ფარახზე“ სტადიონზე გაშლილ ხალიჩებზე უკვე გამოდიან პლანეტის უძლიერესი „კლასიკოსები“.

გუშინ ირანის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც 14 სექტემბრამდე გაგრძელდება.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიან ხალიჩის ოსტატები — მოუნაწილეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები რუსტამ კაზაკოვი, შამილ ხისაჰუტდინოვი, ვალერი რეზანცევი და სხვ. მათთან ერთად ჩვენი სპორტის ღირსებას დაიცავს 22 წლის თბილისელი სტუდენტი შოთა მორჩილაძე (მძიმე წონა).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

10 სექტემბერს **უგეოროდში გაიმართა „სპორტლოტოს“** მორიგი ტირაჟი. აი მისი შედეგები: 3 (აპრობაციას), 14 (ფრანგუბრში), 20 (ბაიდარბეი და ბანომ), 29 (საპარაშეტო სპორტი), 36 (ხლალოვი), 49 (ზაფი).

ᲓᲔᲙᲚᲐᲛᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი ქართველი პოეტის **გალაკტიონ ტაბიძის 80 წლისთავის აღსანიშნავად გამოაცხადეს კონკურსი მისი ნაწარმოებების საუკეთესო მხატვრული კითხვისათვის.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიულ მსახიობებს, ისე მოყვარულებსაც. დეკლამატორთა შეჯიბრება მოეწყობა ორ ტურად. პირველი შესარჩევი ტური არაპროფესიონალებისათვის გაიმართება 16 ოქტომბერს თბილისის ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, მეორე ტური კი პროფესიონალებისათვის — 19 ოქტომბერს.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები: პროფესიონალებისათვის თითო-თითო პრემია 150, 100 და 75 მანეთის ოდენობით. არაპროფესიონალებისათვის — ერთი პირველი პრემია 100 მანეთი, ერთი მეორე 75 მანეთი და ორი მესამე — 50-50 მანეთი.

დამტკიცებულია კონკურსის ჟიურის შემადგენლობა სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ალექსაძის თავმჯდომარეობით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 11, არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა. (საქინფორმი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ბ. ვ. წერეთლის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 12 სექტემბერს ხალამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაში, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 62.

13 სექტემბერს გ. ვ. წერეთლის ცხედარს გადასვენებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება დღის 2 საათიდან.

დაკრძალვა მოხდება დღის 4 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲘᲓᲠᲐᲙᲘ **ᲛᲔᲣᲕᲘᲓᲔ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ**

სოფი, (საკდესის კორ.). ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საქალაქაო ტურნირის მეშვიდე ტურში ტალმა დაამარცხა საბო (უნგრეთი), ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) — სპირიდონოვი (ბულგარეთი), ჰენინგსენი (გდრ) — ტიმანი (პოლონეთი), კორენსკიმ — ხოლმოვი. ყაბილით დამთავრდა ბალაშოვ-სპასკის, სმეიკალ (ჩეხოსლოვაკია)-კოგოტესის, რუკავინა (ოფგოსლავია)-ანდერსონის (შვეიცია) შეხვედრები. გადაიდო სუეტინ-რაშკოვსკის პარტია. კვლავინდებურად ლიდერობს ტალი. მას შვიდ შესაძლებელში 5 ქულა აქვს. 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს სმეიკალმა და სპასკიმ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲚᲝ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. 11 სექტემბერს. (საკდესის კორ.). ქალაქ პორტოროოზში სამი დიდოსტატის დამამტკიცებით მატჩ-ტურნირის შეხვედრა ტურში ერომანეთის შეხვდნენ გელერი და პორტიში. გათამაშდა ეგზანური პარტია. ცენტრში გარეთულებათა შემდეგ გელერმა თავდაპირველად მიიღო მცირე პოზიციური უპირატესობა, შემდეგ კი მოიგო პაიკი. პარტია გადაიდო. გელერს აქვს გამარჯვების შანსი.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ *ᲢᲠᲔᲙᲖᲔ*

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ (ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ., 74)

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“ (ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ)

12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ძირითადი შემადგენლობანი მატჩის დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების საერთო გაყიდვა — 12 სექტემბერს დილის 10 საათიდან.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **გ. ვ. ქართველიშვილი** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ., 74)

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“ (ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ)

12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ძირითადი შემადგენლობანი მატჩის დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების საერთო გაყიდვა — 12 სექტემბერს დილის 10 საათიდან.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 12.00 — სატელევიზიო დადგმა „ბატონი ვოლოვლიოვები“ (II სერია), 17.05 — ენის შემსწავლელთათვის. რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — ენის შემსწავლელთათვის. ინგლისური ენა, 18.15 — ბავშვებისათვის „ცანგალა და გოგონა“, 18.35 — განცხადებები, 18.45 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა პირველობაზე. „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ (ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ). შესვენებისას გადაცემა „შეჯიბრებაში დაწინაურებული“ ზაირა ალხან